



გაზეთი გაეშალა
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne@gmail.ru

მაცნე

სამტრედიის

N8 (9224)

20 მარტი, 2017 წელი

ფასი 50 თეთრი

21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა!

**უახლესი პარსაექვივა _ მსოფლიო
ბანკის ინიციატივით ინოვაციური
ცენტრი გაიხსნას**



აი, ეგა

მიქელაძემ “ალტკომსა” და
“სინოჰიდროს” წამზომი ჩაურთო



**ტელევიზია მედიატორი
უნდა იყოს ხალხსა და
ხელისუფლებას შორის**

რეგიონალურმა მედიამ
შეიძლება, ბევრად მეტი
გააკეთოს, მაგრამ
დაუფასებელია

**3 თუ შეიქანთ, კათილი ინაბათ
და მიხედათ კიდეც!**



აკაკი შანიძე _ 130

“კეთილად
განმგებელი
მოღუაწც”

გამსახურების რაცხნიროყო სურათს რედაქციები სიუჯიროსმედი ინსახვრას

სამუხერის მარჯოლოვოჟი კუხოხეს თუნიქცია ხომ რაჟმხუნრეს...

საბჭო მუშაობს მუყაა

ლევან გაბუნია

6 მარტს საკრებულოს მორიგმა სხდომამ ერთ-ერთ საკითხად განიხილა და გადაწყვიტა, 10 დღის ვადაში საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა დაემტკიცებინა.

10 დღეც გაიდა და... 16 მარტს საკრებულოს თავმჯდომარემ გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებისა და საბჭოს შემადგენლობის გასაცნობად პირველი სხდომა გამართა.

ბატონი ნუგზარ ჯამბურია შეკრებილთ თბილად მიესალმა და საბჭოს წევრებს მუნიციპალიტეტის გა-

მგებლის, ვალერიანე ფოცხვერიას სახელით კეთილი სურვილები გადასცა და წარმატებები უსურვა მუშაობაში. მუნიციპალიტეტის გამგებელი სამსახურებრივ საქმეზე ქალაქგარეთაა გასული. - აღნიშნა თავმჯდომარემ.

საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება შეკრებილთ საკრებულოს აპარატის მთავარმა სპეციალისტმა, საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველმა გენდერული თანასწორობის საკითხებში, ქალბატონმა თამილა კეკელიძემ გააცნო.

გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების

შესახებ მოხსენება საკრებულოს თავმჯდომარემ, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა ნუგზარ ჯამბურია გააკეთა. მან ვრცლად ისაუბრა თითოეული წევრის შესახებ, იმედი გამოთქვა, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად და წარმატებები უსურვა მათ.

დებულების თანახმად საბჭოში შედიან:

საკრებულოს თავმჯდომარე (გენდერული საბჭოს თავმჯდომარე), საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეები, მუნიციპალიტეტში



წარმოდგენილი არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები. რეგლამენტის თანახმად, საბჭო არაუმეტეს სამ თვეში ერთხელ მაინც უნდა შეიკრიბოს, თუმცა საჭი-

როების შემთხვევაში საბჭო მზად იქნება შესაბამისი რეაგირებისათვის. საქმიან, გულახდილ ვითარებაში ჩაიარა შეხვედრამ.

უახლესი პერსპექტივა - მსოფლიო ბანკის ინიციატივით ინოვაციური ცენტრი გაიხსნას

ნათია ნაცვლიძე

მსოფლიო ბანკის ინიციატივით ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ცენტრის სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობასთან დაკავშირებით ადგილობრივ ხელისუფლებასთან მოლაპარაკება დაიწყო. თავდაპირველად ჩვენს მუნიციპალიტეტში სხვადასხვა დარგების საქმიანობის შესახებ ინფორმაციების მოძიება ხორციელდება. ამ მიზნით 10 მარტს სააგენტომ სამტრედიის საქმიანი შეხვედრა გამართა.

მსოფლიო ბანკის ინიციატივისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტოს კონსულტანტმა, ლალი ფიფშიძემ სამტრედიის საინფორმაციო ტიპის შეხვედრა გამართა.

პირველ ეტაპზე მაკროეკონომიკური კვლევა ტარდება, რომლის შემდგომაც ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით გადაწყდება სამტრედიის ინიციატივისა და ტექნოლოგიების აგების საკითხი.

სამტრედიის არსებული დარგების შესახებ ინფორმაცია სააგენტოს კონსულტანტმა ლალი ფიფშიძემ სამიზნე ჯგუფებისაგან მოიპოვა. მუნიციპალიტეტის გამგე-

ობის სააქტო დარბაზში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ სტუდენტები, და-



მამთავრებელი კლასების მოსწავლეები, კერძო სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენ-

ები. ქალბატონმა ლალი ფიფშიძემ, მუნიციპალიტეტის გამგებლის კაბინეტში ვალერიანე ფოცხვერიასთან და დავით ბახტაძესთან სამიზნე ჯგუფებისგან მოპოვებული ინფორმაციები დააზუსტა.

სააგენტოს კონსულტანტმა "სამტრედიის მაცნესთან" სამტრედიის ვიზიტის დანიშნულება გააჟღერა: "დღევანდელი შეხვედრა ემსახურება ლოკაციის გამოყვანას, შეფასებას სამტრედიის მოსახლეობასთან. რამდენად არის აქ საჭირო გაიხსნას ინოვაციური ცენტრი და ამ ტიპის შეფასებას ვაკეთებთ სხვადასხვა კითხვების მიხედვით. 10 მარტის შეხვედრა იყო ძალიან პროდუქტიული, წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ინტერესჯგუფი, არასამთავრობო და ბიზნესსექტორები, სკოლის მოსწავლეები და მსწავლეულები".

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის კაბინეტში ლალი ფიფშიძე ვალერიანე ფოცხვერიასა და დავით ბახტაძეს გაესაუბრა. მსოფლიო ბანკის ინიციატივისა და ტექნოლოგიების სააგენტოს კონსულტანტს გამგებელმა და გამგებლის პირველმა მოადგილემ მაკროეკონომიკური კვლევის ჩატარებისთვის საჭირო ინფორმაციები მიაწოდეს.

საკრებულოს წევრები ჭაბუნეთა ინიციატივას იზიარებენ



ნათია ნაცვლიძე

16 მარტს ჭაბუნის საჯარო სკოლაში (დირექტორი ნათელა შენგელია) მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელმძღვანელო და სიმბოლური დროებითი კომისიის გახსნის სხდომა გაიმართა. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა სკოლისა და ერთ-ერთი ქუჩისათვის აფხაზეთის ომში დაღუპული ჭაბუნის მკვიდრის, ამირან გეგეშიძის სახელის მინიჭების საკითხზე მსჯელობა. აღნიშნული ინიციატივით საკრებულოს ჭაბუნის მაკროეკონომიკური კომისიის მდიანმა და მკვიდრის მკვირთარმა დაღუპულმა ზენა ფანცულაიამ მიმართეს. შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილება საკრებულოს სახელმძღვანელო და სიმბოლური დროებითი კომისიის თავმჯდომარე კობა ძიძიგურმა გააკეთა.

"დღევანდელი შეხვედრა ერთ-ერთი ქუჩისთვის, სადაც ცხოვრობდა აფხაზეთის ომში დაღუპული ამირან გეგეშიძე, მისი სახელის მინიჭებას. ამავდროულად, ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნაც იყო, ჭაბუნის საჯარო სკოლისათვის, რომელშიც ასევე სწავლობდა ამირან გეგეშიძე, მიგვენიჭებინა დაღუპული გმირის სახელი. იანვარში ეს საკითხი განვიხილეთ კომისიის სხდომაზე, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, ადგილზე ჩაგვეტარებინა ვასკლითი სხდომა, მოსახლეობასთან გაგვემართა კონსულტაციები და მოგვესმინა ხალხის აზრი. ასევე აუცილებლად უნდა დავლოდებოდით სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებას. თებერვლის ბოლოს საკრებულოს თავმჯდომარის ნუგზარ ჯამბურიას სახელზე შემოვიდა ჭაბუნის საჯარო სკოლის დირექტორის წერილი, რომელიც გვაუწყებდა სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებას სკოლისათვის გმირის სახელის მინიჭების თაობაზე. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე გაგმართეთ ვასკლითი სხდომა ჭაბუნში. ამავ სხდომაზე კომისიამ გაიზიარა ადგილობრივთა თხოვნა და ერთხმად დავთანხმეთ მთიანეთის რაიონის კომისიის სახელის მინიჭების საკითხს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად გაიტანს, რომელსაც საკრებულო გადაწყვეტს. ხოლო, სკოლისათვის სახელის მინიჭების საკითხზე შუამდგომლობით მიმართეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს".

დაუნდობელი ბრძოლა "აზიურ ფაროსანას"

ლევან გაბუნია

ადგილობრივი თუ ცენტრალური მედიისათვის კარგადაა ცნობილი სამტრედიის მაკროეკონომიკური კვლევის გრიგოლ მიქელაძის აქტიუობა, ძალისხმევა, პასუხისმგებლობა ამომრჩევლის წინაშე.

ასე იყო მაშინაც, როცა გრიგოლ მიქელაძემ შესაბამის სამსახურებს მკაცრი გაფრთხილება მისცა იმასთან დაკავშირებით, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტი არ მოხვდა პროგრამაში, რომელიც "აზიური ფაროსანას" წინააღმდეგ ფართომასშტაბიან, ორგანიზებულ ბრძოლას იხსნავს მიზნად. 14 მარტს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერიანე ფოცხვერიამ კაბინეტში იხმო ქალაქში, დაბასა და სოფლებში მისი წარმომადგენლები, აქვე იყო სოფლის მეურნეობის

სამინისტროს სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი მამუკა კვანტალიანი, რომელმაც შეკრებილთ ამ ღონისძიებათა გეგმა გააცნო, "აზიური ფაროსანას" წინააღმდეგ რომ უნდა განხორციელდეს უმოკლეს ხანში.

ცნობისათვის, მანებელი აზიანებს სხვადასხვა მცენარეებს, განსაკუთრებით კი თხილს.

პირველ ეტაპზე შეიწამლება თხილის პლანტაციები 0-დან 5 ჰექტარამდე. სოფლებში, ქალაქსა და დაბაში გამგებლის წარმომადგენლებს, მედიას წინადადება მიეცათ, ოპერატიული ინფორმაციები მიაწოდონ მოსახლეობას მანებელთან ბრძოლის ღონისძიებების ვადების შესახებ.

გთხოვთ, სერიოზულად მოეკიდეთ საკითხს, კიდევ ერთხელ მინდა მადლობა

პარლამენტარს, ბატონ გრიგოლ მიქელაძეს მოვასწავნოთ, მისი ძალისხმევით მოხვდა სამტრედიის პროგრამაში. - აღნიშნა გამგებელმა.

იგივე აზრი განავითარა მამუკა კვანტალიანიც.

"აზიური ფაროსანას" წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებთან დაკავშირებით სრული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურში.



თუ უბიძანო, კეთილი ინაზით და მიხედვით კიდევ!

6064 ნაწილაკი

ქალაქში განთავსებული არასაკმარისი ფართობისა და შენობა-ნაგებობების მეტრონეების გრივოლი მიქელაძის ინიციატივით შეხვედრა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა. შევასხენებთ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობამ თავის მხრივ რამდენჯერმე მიმართა ობიექტების მეტრონეებს, მათ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების იერსახის გაუმჯობესების მიზნით ღონისძიებები გაეტარებინათ.



შენობების ავარიული მდგომარეობა, რაც საბოლოო ვაშში ქალაქის იერსახეს ამახინჯებს. ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას პარლამენტში თავისი საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტად თვლის მაქორიტი-

რი დეპუტატი, გრივოლი მიქელაძე. შეხვედრაზე დაბარებულ ცალკეულ მეტრონეებთან გრივოლი მიქელაძეს სერიოზული შენიშვნები ჰქონდა თითოეული ობიექტის ამჟამინდელ მდგომარეობასთან დაკავშირებით. საკმაოდ რადიკალური იყო და ითხოვდა შესაბამისი ღონისძიებების დაწყებას.

ლური იყო და ითხოვდა შესაბამისი ღონისძიებების დაწყებას. მხრიდან საკითხის მიმართ მეტი სერიოზულობით მიდგომას: “მალიან კარგია, რომ საკუთრებაში გაქვთ ქონება. მაგრამ მალიან ცუდია, რომ ეს ქონება ხშირ შემთხვევაში ამახინჯავს ქალაქს, სამტრედიის სტუმარს უქმნის განცდას, რომ ქალაქი ახლაც საომარ მდგომარეობაშია. თუ შეიძინეთ, კეთილი ინაზით, მიხედვით კიდევ. თუ ობიექტის მოვლა არ შეგიძლიათ, ან გაასხვისეთ, ან დაანგრიეთ და გაასუფთავეთ ტერიტორია”.

კონკრეტული შენობების მდგომარეობის განხილვისას დეპუტატმა მითითებები მისცა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსაც, რომ ობიექტების იერსახის აღდგენის პროცესში არქიტექტურული გადაწყვეტა აუცილებლად მკაცრად იყოს გაკონტროლებული. კანონით დაშვებული ფარგლებში ასევე მკაცრი ღონისძიებები იყოს გატარებული შენობების ურჩი მეტრონეების მიმართ.

უნდა ითქვას, რომ შეხვედრაზე მოწვეული შესაბამისი ორგანოებიდან მცირე ნაწილი გამოცხადდა. შენიშვნები მოისმინეს ზანა ნიკოლეიშვილმა, პაატა შალამბე-

რიძემ, გელა ხვედელიძემ, ნუკრი მამულაშვილმა.

შეხვედრაზე განსაკუთრებული მსჯელობის საგანი გახდა ჯერ ყოფილი ლიონის ქარხნის ტერიტორია, მოგვიანებით შპს “სილქნეტის” კუთვნილი, ასევე ყოფილი სატელეფონო სადგურის 4 სართულიანი შენობა. ამ უკანასკნელის შემთხვევაში კატეგორიული დამოკიდებულებით გამოირჩა გამგებლის პირველი მოადგილე. დავით ბახტაძემ აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობამ არაერთხელ მიმართა შპს “სილქნეტს” შენობის იერსახის მოწესრიგების მოთხოვნით. ამ ობიექტთან დაკავშირებით არა მარტო იერსახე მოსაწესრიგებელი, ობიექტი საფრთხის უქმნის მის მიმდებარედ ფეხით მოსარულეებს, ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობა თვითმმართველობას აწუხებს და დახმარებას სთხოვს.

დავით ბახტაძე: “ორჯერ იყო ჩამოსული “სილქნეტის” ხელმძღვანელობა. დაგვიბრუნებენ შენობის მოწესრიგებას, მაგრამ რეალური ღონისძიებების ნაცვლად ობიექტს მიაწერეს, რომ იყიდება. სხვა ღონისძიება არ გატარებულა. “სილქნეტს” მოუთხოვეთ, მოკლე ხანში მოაწესრიგოს შენობის მდგომარეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონით გათვალისწინებულ ქმედებებს მივმართავთ”.

მდინარე ხევისწყალას ნაპირას დამსავლი ბაზონი მოეწყობა

6003 ნაწილაკი

მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია და მოადგილე მამუკა თავაძე ტოლების თემში განისუბანში ბაზონის უბანს ეწვივნენ. მდინარე ხევისწყალას ნაპირას შპს “პროექტშენკომპანის” წარმომადგენლები ახლომდებარე საშენობო სამუშაოებს აწარმოებენ, რასაც შეემატა შესაბამისი პროექტი მოწყობა. მომდევნო ეტაპი კი ხევისწყალას ნაპირას დამსავლი ბაზონის გაკეთება იქნება. ამჯერად მდინარიდან ინტერული მასალის მოპოვება მიმდინარეობს.

სამუშაოებს ჩინური კომპანია “სინოპიდრო” ახორციელებს. ეს კომპანია ასევე ითვალისწინებს ადგილობრივი მოსახლეო-

ბის მოთხოვნას და მდინარის გასწორებას. ადგილობრივი მოსახლეობა ხელისუფლების დანაბრების დროულად შესრულებას მიესალმება და კმაყოფილებას გამოთქვამს. “სამტრედიის მაცნეს” გამგებელმა ვალერიანე ფოცხვერიამ განუცხადა:

“საგზაო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ჩამოვიდა, დაგვიბრუნა, რომ ჯერ პროექტის გასაკეთებლად გამოგზავნიდნენ ჯგუფს, მეორე ეტაპი გაბიონის ტიპის კედლის მოწყობა დაახლოებით ერთი კილომეტრის მონაკვეთზე, თუ როგორი იქნება ეს გაბიონი, ამას ინჟინრები გადაწყვეტენ. როგორც ხედავთ, ჯგუფი უკვე აღდიდებული მუშაობს, ამჟამად ჩინური კომპანია “სინოპიდრო” აწარმოებს სამუშაოებს, ძირითადად ესენი მუშაობენ მდინარის კალაპოტის შეცვლაზე და გარკვეული პრეტენზიები, რაც მოსახლეობას მათთან ჰქონდა, სამუშაოებს და გარკვეული პრეტენზიები, რაც მოსახლეობას მათთან ჰქონდა, სამუშაოებს და გარკვეული პრეტენზიები, რაც მოსახლეობას მათთან ჰქონდა...”

ილეთ ჩინელები, თუკი ისინი არასწორად გააგრძელებენ მუშაობას, ისევე ჩავერევით, ან დაჯარიმდებიან, ან სხვა სანქცია დაეკისრებათ. ჩვენი დაპირება შესრულებულია, მეც წელში გამართული ვარ მოსახლეობასთან, აქ მალე გაბიონი მოეწყობა, ჩვენ დანაბრებს ყოველთვის ვასრულებთ. აქაურებს უკვე ზაფხულში არ შეაწყობთ პრობლემა, რომელიც აქამდე აწუხებდათ.”

გამგებლის წარმომადგენელმა ტოლების თემში ალექსანდრე ბოცვაძემ განაცხადა: “როცა ლიცენზია გაცადა, მოეპოვებინათ აქიდან ინტერული მასალა, ხალხის პროტესტი დიდი იყო, ამბობდნენ, რომ საპაპირო იშლება, გასოვთ გაფიცვა, შიმშილობის აქცია... მევე მოსახლეობამ წამოაყენა მოთხოვნა, თუ ხდება მდინარე ხევისწყალიდან ამ ინტერული მასალის გატანა, მაშინ გავეთქვამ ნაპირსამაგრიო. ამის მერე საგზაო დეპარტამენტთან ჩამოვიდა ნაპირსამაგრი სამუშაოების სამსახურის უფროსი კაპანაძე, დაასურათეს ადგილი, მერე ჩამოვიდა საგზაო დეპარტამენტის თავჯგ-



დომარის მოადგილე და სამსახურის უფროსები და შეპირდნენ ხალხს, რომ გაკეთდება 730 მეტრი სიგრძის გაბიონი.”

მურთაზ სირაძე, ტოლების მკვიდრი: “აქვე ვცხოვრობ, 70 წელი შემისრულდა, ამხე მთელი ცხოვრება ვცნობ, ეს საშვი-

ლიშვილი საქმეა, მდინარე მისეხი მიიტაცა. როგორც ხედავთ, პროექტი მალე დასრულდება, მარტო საყინე ფართობზე კი არ არის საუბარი, სახლი არ დაგვიტყობს იცხად...”



აი, ეზა

ლევან გაბრიას

გზამდე უგზობა აწუხებდა აქ გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია, მძღოლის მანქანა, მგზავრებსა და მცხოვრებთ საკუთარი თავი არ ემეტებოდათ მტვრისა და ტალახისათვის, მაგრამ...

მუნიციპალიტეტის თავაკცები, შესაბამისი სამსახურები აქაურთა

გასაჭირვაც დაფიქრდნენ და გზის საკმაოდ ვრცელი მონაკვეთი მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ შესასრულებელ სამუშაოთა ნუსხაში შეიტანეს.

13 მარტი სულაც არ აღმოჩნდა ნავსიანი ეწრელებისათვის. მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია მოადგილე ვალერიანე ფოცხვერთან, გამგებლის ინფრასტრუქტურისა და

სასოფლო-სამეურნეო ურთიერთობის სამსახურების უფროსებთან ზურაბ გოგიასთან და მიხეილ ლევაგასთან, საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ უდრელიძესთან ერთად გზის მშენებლობის პროცესის მიმდინარეობას ადგილზე გაეცნენ.

– ეწრის ცენტრის გავლით ხონი-დიდი ჯიხაში-იანეთის საავტომობილო მაგისტრალამდე მშენებარე გზის მონაკვეთი 4 კილომეტრი და 700 მეტრამდე სიგრძისაა, სიგანე 5 მეტრია, ასფალტბეტონის საფარის ორი ფენა კეთდება, სამუშაოს ორგანიზაცია “ნიუ როიდი” აწარმოებს, რომლის ხელმძღვანელიც დავით ჟღენტი გახლავთ. – განაცხადა ჩვენთან საუბარში მუნიციპალიტეტის გამგებლის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ბატონმა ზურაბ გოგიამ.

ადგილზე მისულთ იქ დაგვხვდნენ დიდ ჯიხაში, იანეთსა და ეწერში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლები, რომელთაც მოსახლეობის სახელით მადლობა არ დაიშურეს სამუშაოს შესრულებელი ორგანიზაციისა და მუნიციპალიტეტის თავაკცებისადმი.

შესრულებული და 13 მარტისათვის ჯერ კიდევ მიმდინარე სამუშაოების

ხარისხით ამჯერად კმაყოფილი გახლდათ გამგებელი. ბატონმა ვალერიანე ფოცხვერიამ მუნიციპალიტეტისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულ-



ების საქმეში განსაკუთრებული აქტიურობისათვის თბილი სიტყვები არ დაიშურა ყოფილი მაქორიტიანი დეპუტატის გიორგი კახიანისა და რადა თქმა უნდა, სამტრედიელთა მაქორიტიანი დე-

პუტატის, პარლამენტის წევრის, ბატონ გია მიქელაძის მისამართით, რომელიც ყველაფერს აკეთებს ამომრჩეველთათვის მიცემული სიტყვის შესასრულებლად.

დაბოლოს, თუ თითქმის 5 კილომეტრიანი სიგრძის გზის გასწვრივ მცხოვრებნი უგზობით იტანჯებოდნენ, ამჯერად თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი გზით მოიწონებენ თავს.

სამცხე-ჯავახეთის ბარჯოლოციის კახიხის თემის ხომ რაიონის რეს...

6060 ნა60ტაშ30ლო

“ჩემს 4 წლიან სამსახურში, ბალნეოლოგიური კურორტისთვის ფუნქციის დაბრუნებას დევს”. – ამბობს გრიგოლ მიქელაძე და 2016 წლის 8 თებერვლის არჩევნებში მამულაძე სამტრედიის მონაწილეობისთვის მიცემული ამ კონკრეტული დაპირების განხორციელების რეალურ გზებს ეძებს. სწორედ ამ მიზნით შეხვდა მაკორიტიანი დეპუტატი “იმერეთი გრინერის” წარმომადგენლობას. ლოკაციის ადგილი კვლავ მუნიციპალიტეტის გამგებლის კაბინეტი იყო.

ყოფილ საბჭოთა კავშირ-

ში ბალნეოლოგიური კურორტი “სამტრედია” წარმომადგენელმა უნდა აღადგინოს სამტრედიის რაიონის განმავლობაში ათასობით ადამიანი სტუმრობდა, როგორც საქართველოდან, ასევე საზღვარგარეთიდან.

ვინაიდან თერმული წყლის მოპოვების ლიცენზია კურორტს არ გააჩნია, ძველი პროფილით ვერ ფუნქციონირებს, ლიცენზიის მფლობელი “იმერეთი გრინერია”, რომელიც უნიკალური თვისებების მქონე სამკურნალო-გამაჯანსაღებელ თერმულ წყალს პირდაპირი დანიშნულებით არ იყენებს; თერმული წყალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსაყვანად სათბურების გასათბოდად გამოიყენება.

გრიგოლ მიქელაძე: “შე ჩემი სახსრებით დავიწყე აღდგენითი სამუშაოები, რომ ბალნეოლოგიური კურორტისთვის ნაწილ-

ობრივ დამებრუნებინა ძველი ფუნქცია. წავაწყდი წინააღმდეგობას, პრაქტიკულად, წყლის პრობლემა დადგა. ამასთან დაკავშირებით შევხვდი იმ კომპანიის წარმომადგენლობას, ვისაც სასათბურე მეურნეობა აქვს ამეხებული, ფლობს ლიცენზიას. დავიწყე მოლაპარაკება, თუ როგორ შეიძლება მივალწით, რომ კურორტს წყალი მივაწოდო იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც დაგეგმილია”.

გრიგოლ მიქელაძისა და ადგილობრივი თვითმმართველობის დამოკიდებულება კურორტთან მიმართებაში იდენტურია: ლიცენზიის მფლობელი კომპანიის კეთილგანწყობა გამოიყენონ, რათა არსებული ჯგუფის დარჩენილი რესურსი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი დანიშნულებით იქნეს მიმართული.

ვალერიან ფოცხვერია, მუნიციპალიტეტის გამგებელი: “პოლანდიურ კომპანიასთან არავითარი პრეტენზია არა გვაქვს, ამ ხალხმა მიიღო ლიცენზია, ანვითარებენ ბიზნესს. დეპუტატი დაინტერესებულია და მოსახლეობა მონდო-



მებული, ბალნეოლოგიური კურორტს ნაწილობრივ მაინც დაუბრუნდეს ძველი ფუნქცია. დღეს ჩემს კაბინეტში მოხდა ქართულ და პოლანდიურ მხარეებს შორის შეხვედრა. ლიცენზიის მფლობელი კომპანია წამოვიდა შემხვედრ ნაბიჯზე, საქმე ერთობლივად გადავითხოვეთ და აღუ-

ადგინოთ ბალნეოლოგიური კურორტი. დეპუტატთან ერთად შევიმუშავეთ გეგმა, ბატონმა გრიგოლმა აიღო თავის თავზე, საკუთარი სახსრებიდან თანხები გაიღო პროექტის მომზადებისათვის. ამჯერად, პოლანდიელებთან მოლაპარაკების შედეგებს ველოდებით”.



mcmlek georgia კეთილი მისიით

ლიპან ბაბქაძე

ამჯერადაც ეწვია სამტრედიას. მისი დირექტორი მუქმედ ჰიდონი და ორგანიზაციის პერსონალის უფროსი მუნიციპალიტეტის გამგებელს ვალერიან ფოცხვერიას შეხვედრა. აღნიშნეს, რომ საწარმოს გაფართოების მიზნით ვაკანსიები გაუჩნდა და რამდენიმე ათეულ ადამიანს დაასაქმებს. როგორც ითქვა, მსურველთათვის ორგანიზაციის ტრენინგები ჩატარდება.



მიქელაძემ “ალტკომსა” და “სინოპიდროს” წამზომი ჩაურთო

6060 ნა60ტაშ30ლო

10 მარტს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის კაბინეტში საქართველოს პარლამენტის წევრმა, გრიგოლ მიქელაძემ ხელისუფლების ოფიციალურ პირებთან ერთად განმეორებითი შეხვედრა გამართა სოფელ იანეთში ინერტული მასალების მომპოვებელი კომპანიების, შპს “სინოპიდროსა” და შპს “ალტკომის” წარმომადგენლებთან.

განმეორებითი შეხვედრა განაპირობა წინა შეხვედრებზე კომპანიების მიერ დეპუტატისა და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის მიცემული პირობების არაჯეროვნად შესრულებამ. კერძოდ, კომპანიებს “ალტკომს”, “სინოპიდროსა” და “ხიდს” ინერტული მასალების გადასაზიდად არ უნდა გამოეყენებიათ იან-

ეთი-დიდი ჯიხაში-ხონის შიდასახელმწიფოებრივი გზის იანეთის მონაკვეთი და პარალელურად, შემჭიდროვებულ ვადებში უნდა მოეწყო მდინარე გუბის-წყლის მარცხენა სანაპიროზე ალტერნატიული გზა.

გრიგოლ მიქელაძემ ჩვეული პრინციპულით უსაყვედურა შეხვედრაზე დაბრუნებული კომპანიების წარმომადგენლებს და გაფრთხილება მისცა, 11 მარტიდან ინტენსიურ ფაზაში გადასულიყო ალტერნატიული გზის მოწყობის სამუშაოები: “დღეს 10 მარტია. გაფრთხილებით მკაცრად, ხვალდან დაიწყებთ და გააგრძელებთ ალტერნატიული გზის მოწყობას. წინააღმდეგ შემთხვევაში შიდასახელმწიფოებრივი გზით სარგებლობას საპატრულო პოლიციის მეშვეობით შეგიზღუდავთ”.

ალტერნატიული გზის მოსაწყობი

მონაკვეთი პირობითად დაიყო სამ ნაწილად. გადაწყდა, რომ პირველ მონაკვეთის მოწყობას “ალტკომი”, მეორე რთულ მონაკვეთს – “ალტკომის” წარმომადგენლობა “სინოპიდროს” ტექნიკის გამოყენებით. ასევე, “სინოპიდროს” ტექნიკის გამოყენებით მე-3 მონაკვეთის მოწყობას უზრუნველყოფს შპს “ხიდი”.

უცხოური კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრის დასრულების ბოლოს “სამტრედიის მაცნე” კომენტარი სთხოვა მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს, დავით ბაბქაძეს: “საკმაოდ ნაყოფიერი გამოვიდა დღევანდელი შეხვედრა. მაკორიტიანი დეპუტატის, გრიგოლ მიქელაძის მიერ მიცემულ შენიშვნებს უცხოური კომპანიების წარმომადგენლები გაგებით მოეკიდნენ, დაკვირდნენ, 11 მარტიდან გააგრძელებენ მუშაობას, რომელიც პრ-



აქტივულად დაწყებული აქვთ, თუმცა ალტერნატიული გზის მოწყობის ტემპი იყო არაადამაყოფილებელი. ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში მაქსიმალურად მივატყვევო ყურადღებას იანეთში არ-

სებულ მდგომარეობას და იმედა, კომპანიების წარმომადგენლები დღევანდელ შეხვედრაზე მიცემულ დაპირებებს დროულად შეასრულებენ”.



მკასხი გაუფრთხილება ინტენსიუროვნობას

“ან უნდა გამოასწოროთ თქვენი გაფრთხილებული საქმე, ან შეწყვიტეთ მუშაობა”. – ასეთი რადიკალური იყო ვალერიან ფოცხვერია იმ ინტერნეტპროვაიდერების მიმართ, რომლებიც სამტრედიის მუნიციპალიტეტში, კერძოდ კი ქალაქის ტერიტორიაზე მიწისქვეშა კომუნიკაციებს ახორციელებენ და ხშირ შემთხვევაში გზის ასფალტის საფარს და ტროტუარებს აზიანებენ.

17 მარტს, მუნიციპალიტეტის გამგებლის კაბინეტში გამართულ შეხვედრას “სილქნეტისა” და “პისიმაქსის” წარმომადგენლობა ესწრებოდა და ორივე კომპანია შენიშვნებს აღეკატურს უწოდებდა. ვიორე ჩაჩანიძე, “პისიმაქსის” წარმომადგენელი: “სამართლიანი შენიშვნაა, რაც დღეს მოვისმინეთ. ჩვენმა კომპანიამ რეინგინგის მიმდებარე ტერიტორიის გარკვეული მონაკვეთი დაზიანა და ჩვენ ქარხანას შეუკვეთით ის ფილები დასამზადებლად, რომელსაც უმოკლეს ვადაში თავის ძველ ადგილს მივუყენებ”.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი განსაკუთრებით ხისტი იყო “სილქნეტის” მიმართ, რომლის წარმომადგენლებსაც დაზიანებული გზის საფარის მოწესრიგები, პარალელურად უსახური, მიტოვებული, იმადროულად მათ საკუთრებაში არსებული, ძველი კავშირგაბმულობის შენობის მიხედვასაც ავადლებულბდა: “ის რომ ინტერნეტი არ გევაარგათ, სამტრედიას იერსახესაც უმახინჯებთ დაზიანებული გზის მონაკვეთების მიტოვებით. გაძლევთ გარკვეულ დროს და მითხოვნას, აღადგინოთ დაუფრთხილებლად დაზიანებული გზის საგალი ნაწილები და ტროტუარები, აგრეთვე, გადაეცით თქვენი ხელმძღვანელობას, ის რაც ცოტა ხნის წინ ქუთაისში მოხდა, ვგულისხმობ ტრაგედიას, 12 წლის გოგონას სიცოცხლე რომ იმხვერპლა, სამტრედიამაც არ განმეორდეს ძველი კავშირგაბმულობის შენობის მიმდებარედ”.

შეხვედრაზე ინტერნეტპროვაიდერებმა მათი მისამართით გამოთქმული შენიშვნები გულდასმით მოისმინეს და შეთანხმდნენ, 10 დღის ვადაში დაზიანებებს აღმოფხვრიან.

21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა! “მართალი სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში!”

ლევან გაბუნია

**“რა ხელოვნების პატივს ნა-
ზი ბუღბუღი ვაღიამია დატ-
ყვევებული”.**

**არა, ბუღბუღობის პრეტე-
ნზია ნამდვილად არ გვაქვს,
თუმცა ვულის სიღრმეში გვეა-
მაყება, რომ ვიდრე საქართვე-
ლოს განვითარებისთვის მო-
გვცემდნენ, ვაცილებით ადრე
რომ დააფიქსირა ქართველმა
კაცმა განუხრელი პატივისცე-
მა, აუცილებლობა პიროვნუ-
ლი თავისუფლებისა, მრწამს-
ის, პატივის, ღირსების შელა-
ხის დაუშვებლობა და ა. შ.**

უახლოეს დღეებში მედია ძირითად
ყურადღებას ტელეკომპანია “რუსთავი
2-ის” ირგვლივ განვითარებული მოვლუ-
ნების გაშუქებითა და შეფასებითა დაკა-
ვებული. როგორც ნებისმიერი დავის დროს,
ამჯერადაც მხარეები სათავისოდ ცდ-

ილობენ დადგენ მათთვის სასურველი შე-
დეგა.

და ამ დროს საქართველოს პრემიერ-
ი ბატონი გიორგი კვიციანიშვილი მედია-
ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღების ინ-
იციატივით გამოდის, ამავდროულად სა-
თანამშრომლოდ საერთაშორისო დონის
მედიაექსპერტებს იწვევს.

რითაა ყოველივე ნაკარნახევი?
უდავოდ იმ გარემოებით, რომ ხელი-
სუფლებას სურს ქვეყანაში მედიაპლურა-
ლიზმის ჯანსაღი გარემო იყოს. არ მოხ-
დეს თავისუფალი განხილვის უზრუნველ-
ბლოცირება და ა. შ.

სიტყვის თავისუფლება, გამოხატვის
თავისუფლება ხომ დემოკრატიის უმთავე-
რესი, ძირითადი ნიშანია, ამდენად, რაკი-
და ჩვენი ქვეყანა დემოკრატიული ღირე-
ბულების დამფასებელია, რაკილა დემო-
კრატიულ საზოგადოებას ვაშენებთ, მედი-
ის თავისუფლებას, როგორც არასოდეს,
უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის
დღეა!

პროფესიულ დღეს ზეიმობენ ამ დღე-
ს ჟურნალისტები.

მიზრული ხელფასებით, უკეთესი მო-
მავლის დიდი სურვილით ვეგებებით რე-
გიონებში მოღვაწე ჟურნალისტები პრო-
ფესიულ დღეს.

რას ვისურვებდით?

გრძელი ჯაჭვით დაბმული ძაღლის
როლში ყოფნას ნამდვილად არა! მიგვიხ-
ვდით ალბათ, გამოთქმას ამჯერად იმ ას-
პექტში განვიხილავთ, ჟურნალისტებს სი-
ტყვის თქმის უფლებას რომ აძლევდნენ და
მათ ნათქვამს ნაკლებად ან საერთოდ არ
ითვალისწინებენ.

მოგვკალით და თავისუფალი მედია,
ხუნდებანსილი ჟურნალისტი მაშინ გვე-
ყოლება ქვეყანაში, როცა ადრესატები მო-
ყვრულად გაიგებენ ჟურნალისტთა “მტ-
რულ” ნათქვამს და ობიექტურ ინფორმა-
ციებს სათანადო საქმიანი პასუხები მოკ-
ვეება.

ისევე მედიაომბუდსმენის ინსტიტუტის
შესახებ.

ენერგოომბუდსმენი, ბიზნესომბუდსმე-
ნი... საქართველოში, ევროპულ ქვეყნებ-
ში არის მსგავსი პრეცედენტი და ასე,
რომ არც მედიაომბუდსმენის ინსტიტუტი
იქნება უცხო ჩვენი ქვეყნისათვის იმ შე-
მთხვევაში, თუ მის მისიას პირნათლად
და ყოვლისმომცველად შეასრულებს.

21 მარტს პროფესიულ დღეს აღნიშ-
ნავენ ქართველი ჟურნალისტები.

“მართალი სიტყვა უშიშარად მოვფი-
ნოთ ხალხში!”

გილოცავთ!



**თავისი მრავალმხრივი ნა-
ზრევითა და ნაღვაწით ნიკო
ნიკოლაძე მუდამ რჩება და კი-
დედ დიდხანს დარჩება “დრო-
სგასწრებულ მამულიშვილად”,
რომლისგანაც ყოველი ახალი
თაობა თავისი ცხოვრების, სა-
ზოგადოებრივად სასარგებლო
სახელმწიფოებრივ აზროვნე-
ბას, ქმედებას, ცხოვრების წესს
ისწავლის. ამიტომაც უპრიანი-
ა მისი ხშირი განხილვა, მით
უმეტეს დღევანდელ დღეს –
ქართული ჟურნალისტიკის დღე-
ს!**

სამწუხაროდ, ნიკოლაძეს ნაკლებ-
ად ან ძალზე ზედაპირულად იცნო-
ბენ. არადა მისი, როგორც ჟურნ-
ალისტიკის პიროვნება, ჟურნალისტ-
ური საქმიანობა, სიბრძნითა და მა-
მულის უსამართლო სიყვარულით დაუ-
ნჯებელი, მსუბუქი იმერული იუმ-
ორით გაჯერებული პუბლიცისტიკ-
ური წერილები საოცრად საჭირო, სა-
დაგი, საინტერესო და მიმზიდველია
დღესაც – დღევანდელი თავისუფა-
ლი ქვეყნისა და დემოკრატიული სა-
ზოგადოებისთვისაც! ჟურნალისტმა
რედაქტორ-გამომცემელმა ნიკო ნიკ-
ოლაძემ მთელი თავისი სიცოცხლე
საზოგადოების წინსვლისა და გან-
ითარებისათვის ასე აუცილებელი თავ-
ისუფალი სიტყვისა და პრესის და-
მკვიდრებისათვის ბრძოლაში გაატარ-
ა!

“მწერალი აღმზრდელია, ხელმ-
ძღვანელია თავისი საზოგადოებისა,
მისი მისწრაფებების, იდეალებისა...”
– წერდა ნიკო ნიკოლაძე საუკუნის
წინ. მწერლის (მისთვის ჟურნალის-
ტის, პუბლიცისტის – ლ.ბ.) ნათქვ-
ამ სიტყვას თავად მწერლის პირო-
ვნება, მისივე საქმეები განამტკიცე-
ბენ იმით, რომ “მწერლის თითოე-
ულ სიტყვას უნდა მოსდევდეს საქ-
მე – სიტყვა უნდა იყოს საქმიანი”.
მწერლის უფლება არა აქვს, არათუ
ჩამორჩეს დროს და მის ფეხდაფეხ
მიხანჩალებდეს, არამედ წინ უნდა

გაპიხსენოთ ჩვენი პაჩაღიული თანაგაღროვა!

**“ნიკო ნიკოლაძე... პირველი ქართველი ჟურნალისტიკა
ევროპული მნიშვნელობით”.**

არტურ ლიხთი

იხედებოდა თავისი განათლების ჰო-
რიზონტის წყალობით და სწორ გე-
ზს, სწორ ორიენტაციას უჩვენებდ-
ეს მკითხველს, გლობალური აზრო-
ვნება და ანალიტიკური მსჯელობა
საზოგადოებრივ საკითხებზე საზოგ-
ადოების განათლებას, მის წინსვლ-
ას უნდა ემსახურებოდა. უბრალო
“რეზონერობას” მწერლობას ვერ და-
ვარქმევთ, – წერდა იგი, და ასეთი
მწერალი ვერც თავის მისიას – სა-
ზოგადოების გზის გაკვალვა-გაუმჯ-
ობესებას ვეღარ შეძლებს.

საოცარია მისი მგზნებარე სიტყ-
ვები, იმ სამინელი ცენზურის წნეხ-
ის ქვეშ წარმოთქმულნი განათ “ობ-
ზორის” სასამართლო პროცესებზე:
– “ბატონო მოსამართლენო, არსებ-
ითად პირველყოფილ მთავრობებს
სურდათ პრესის შესახებ კანონებით
“ზღვარი დაედოთ აზრისათვის”, რო-
მელსაც, როგორც მოგვსენებთ, თი-
თქმის არა აქვს საზღვარი. განა შე-
იძლება გამოინახოს რომელიმე გა-
რეკვეული და უმოძრაო ფორმით აღ-
ამიანის აზრის ქმედება? როგორი
კედლებითაც და ზღუდეებითაც არ
უნდა შევზღუდოთ იგი, მაინც პოუ-
ლობდა და ყოველთვის იპოვის არა
მხოლოდ მათი შემოვლის, არამედ
მათზე ძალა დადგომის საშუალებ-
ასაც, რადგან ცენზურის ყოველი წე-
სი უძღურია შეაჩეროს ადამიანის
აზრი. ვერაფერია ცენზურა, ვერა-
ფერია ჩაგვრა ვერ დააბრუნებს
მწერალს – გამოთქვას ამ თუ იმ
ფორმით ის, რისი თქმაც უნდა...
უცხოეთის ყველა სახელმწიფომ შე-
იგნო, რომ საჭიროა პრესისადმი შე-
მწინარებლური დამოკიდებულება!”

რაც შეეხება ჯერ კიდევ 1875
წელს პარიზში გამოცემულ მის სა-
ყოველთაოდ ცნობილ ბროშურას
“დეკადანსის პრესა” (“ფრანგული

პრესის დეკადანსი”), როგორც მისი
თანამედროვე ცნობილი ფრანგი ჟუ-
რნალისტები წერდნენ, – “იგი ყვე-
ლა... ჟურნალისტის სამაგიდო წიგ-
ნი უნდა იყოს”... დღესაც!
აქ რამდენიმე ამონარიდს გთავა-



ზობთ ამ ბროშურიდან, დღევანდ-
ელი, ჟურნალისტის დღის სადაგს და
ყველა ჟურნალისტის სახელმძღვა-
ნელო სენტენციას: – “თუ პრესა
ძალაა, იგი ამ ძალასა და ავტორი-
ტეტს მხოლოდ და მხოლოდ მკითხ-
ველთა აზროვნებაზე საუთარი მო-
რალური და ინტელექტუალური ზე-
მოქმედებიდან უნდა იღებდეს!.. მსმ-
ენელებს თქვენი სიტყვისა უნდა სჯ-
ეროდეთ, თქვენი გულწრფელობისა
უნდა სწამდეთ. იმდენად განათლებ-
ულად, იმდენად ძლიერად და კეთი-
ლინდისიერად უნდა გთვლიდნენ,
რომ თქვენი ნათქვამი სერიოზულად
მიიხნინონ”.

“პრესამ დაბადებაც კი ვერ მოა-
სწრო, მისი პარტიებს ჩაუვარდათ

ხელში, პარტიებმა იგი მაშინვე გა-
დააქციეს ომის მანქანად, რომელიც
განუთუნებელი იყო მათ შეხედულებ-
ათა პროპაგანდისათვის და მოწინა-
აღმდეგეთა დასათრუნავად... მათ ას-
ევე არაფრად მიაჩნიათ ცოდნა იმი-

თავისუფალი მედიის მხოლოდ ერთ
პარტიულ დაჯგუფებას ეყრდნობა და
რომელიც არსებობს მკითხველთა ერ-
თი ჯგუფის საამებლად, ხოლო მრ-
ავალთა საკითხავად, ვერასოდეს წნ-
ავალი ავტორიტეტს და ვერც დიდ
ბიუჯეტს ვერ მოიპოვებს”.

“თავისი ერის ერთგვარი ნდობა
რომ დაიმსახუროს, პრესა მკითხვე-
ლის მეგობარი უნდა გახდეს, ღრმ-
ად უნდა შთააგონოს ის აზრი, რომ
მას არ ატყუებს, არაფერს არ უმა-
ლაგს და, ბოლოს და ბოლოს, არც
არის დაინტერესებული ასე მოიქცე-
ეს... ერთგვარი გამოცდილების მქ-
ონე საზოგადოებას არასოდეს სიმა-
რთლე არ უნდა შეუღამაზო, მხო-
ლოდ სუსტებს უმაღავენ არასასიამ-
ოვნო ამბებს, მხოლოდ სულმოკლე-
ებს არ ეუბნებიან საფრთხეზე”.

დიდი მამულიშვილის დიდი ნიკო
ნიკოლაძის სახელ-მეწეუმი ულოცა-
ვს თავის დროითა და ჟამით გამოც-
დილ მეგობარს – მუნიციპალიტეტ-
ის განვითარების “სამტრედიის მაცნეს”,
მის ძველ და დღევანდელ თანამშრო-
მლებს ქართული ჟურნალისტიკის
დღეს და უსურვებს პროფესიულ წარ-
მატებებს, დავით გურამიშვილისე-
ულ “მართლის მოქმედობას”, ერის
ერთგულ სამსახურს და ხსოვნას წი-
ნაპართა ძველი შეგონებისა: “სდქ-
ით მტკიცედ და შეურყევლად” ჩვე-
ნი ქვეყნის წინსვლისა და განვითარ-
ების სადარაჯოზე!

საგანთო “წერილი მეცნიერებ-
ის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით
უნდა აშუქდეს საკითხს, იგი უნდა
იყოს ნამდვილი შედეგი. ამგვარი
კომუნიკაციების მეოხებით განუთ-

ლევან გაბუნია
ნიკო ნიკოლაძის
სახელ-მეწეუმი
დღევანდელი



21 მარტი ქართული

ტელევიზია მედიაბოკრი უნდა იყოს ხალხსა და ხელისუფლებას შორის

რეგიონალურმა მედიამ შეიძლება, ბევრად მეტი გააკეთოს, მაგრამ დაუფასებელია

ქართული მაცნე

“ვიღობები ბევრი მაქვს, უფრო უცხოელებისგან. აი, ეს მედალი – “საქართველოს წლის ადამიანი” ამერიკელებისგან მივიღე 2011 წელს. ასეთი მედალი საქართველოში მხოლოდ მე მაქვს. ერთხელ, ამერიკის საელჩოში შეხვედრას ვიყავი. ინსტრუქციის თანახმად მედალი აუცილებლად უნდა მეკეთებოდა. თქვენ ეს საიდან გაქვთ, – ვაიკვრება ელჩმა, – არ მეგონა, საქართველოში ის თუ ვინმეს ჰქონდა. ამას წინ უძღოდა 2009-2010 წლებში ისევ ამერიკელებმა “საქართველოს წლის ადამიანის” და “მსოფლიოს წლის ადამიანის” წოდებები რომ მომანიჭეს. – გვეუბნება ტელერადიო კომპანიის გენერალური დირექტორი თამარ ლვინიანიძე და სამუშაო ოთახის კედლებზე წარმოდგენილი ვიდეოების მიმართ ჩვენს ინტერესს აკმაყოფილებს. – BBC მიერ “წლის ადამიანად” დავსახელები 2010, 2011 და 2013 წლებში. მაქვს ინტერნაციონალური ორდერი, რისი მემკვიდრეობაც 2009-2010-2011 წლებში სადაც ვადავადგვიდებოდი, საზოგადოებრივი ელჩის სტატუსით ვსარგებლობდი. 2012 წელს ინგლისელებმა “წლის ადამიანად” დამასახელეს. სხვათა შორის, სამჯერ ვიყავი ამერიკაში მიწვეული, მაგრამ ვერ ჩავიდი, მაინც ვამომიწვანეს მედალი. “საქართველოს წინსვ-

ლასა და განვითარებაში განსაკუთრებული წვლილისათვის” აწერია მას და ზედ ჩემი სახელი და გვარია ამოტვიფრული. ორჯერ ოქსფორდში მიმიწვიეს ლექციების წასაკითხად. 28 მარტს კი ინგლისში უნდა ვიყო დაჯილდოების ცერემონიაზე, უმაღლესი ბიზნეს-რეიტინგების სკოლის დირექტორატმა “წლის ბიზნესმენის” წოდება მომანიჭა.

2015 წელს ვადმომცეს ვიღობი “ყველაზე წარმატებულ ქალს მედიაში” – ტელეკომპანია “რიონს” ბიზნესის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის საქართველოში. ტელერადიო კომპანიის ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირის მიერ 2015-2016 წლების შედეგების მიხედვით მიეკუთვნა I-ლი ადგილი (რეიტინგი ოქრო) საქართველოს ტ-7 საწარმოს შორის და დაჯილდოვდა დარგის ლიდერის მედლითა და ეროვნული სერტიფიკატით. ეს სტატუსები საჩხერეში, ქორვილში ვადმომეცა, სადაც ჩატარდა საუბარო კარგი ღონისძიება, რომელიც ებრაელებმა დააფინანსეს. იგი “იმერეთის რეგიონის წარმატებულ ქალებს” მიეძღვნა.

იმ კედლებზე კიდევ ბევრი ვიღობი, სიგელი და სერტიფიკატი, ქალბატონი თამარისა და ტელეკომპანიის წარმატებულ საქმიანობას რომ ასახავს. თამარ ლვინიანიძე აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსი-

ტეტის პროფესორი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. ქართული ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით მასთან ჩვენი სტუმრობის მიზანიც მკითხველისა თუ ტელემაყურებლისთვის მისი ახლოს გაცნობა წარმოადგენდა. მით უფრო, ტელეკომპანია “რიონის” ობიექტივში არაერთხელ მოხვედრილა სამტრედიის. მისი ეთერიდან ბევრს უთქვამს თავისი საოქმელი და ბევრისთვის გზამკვლევიც გახდარა.

ტელეკომპანია, რომელიც 28 წელია მუშაობს, როული და საინტერესო გზა განვლო, ვაუძლო დროს და გამოწვევებს. იმერეთის რეგიონის მოსახლეობის საოქმელს საყოველთაოს ხდის და ხალხსა და ხელისუფლებას შორის მედიატორად გვევლინება. ეს მისი ნიშანია, რითაც დღევანდელ საქართველოში ბუმში თავისთავადობას მკვეთრად ინარჩუნებს. იგი ერთ ადგილს არ ტკეპის, ვითარდება და სიანხლებს სთავაზობს თავის მაცურებელს.

რეგიონული ტელეკომპანიის შესახებ “სამტრედიის მაცნეს” მიხედვით გენერალურმა დირექტორმა ბევრი რამ უამბო. ჩვენს ინტერესსაც მისი წარმატებული ხელმძღვანელის და ძლიერი ქალის პირადი ცხოვრების სტრატეგია შეადგენდა. ვულოცავთ ქალბატონ თამარს და ტელეკომპანია “რიონს” ქართული ჟურნალისტიკის დღეს და მკითხველს მასთან ინტერვიუს ვთავაზობთ.

